ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 28 ოქტომბერი 2006 №250 (2872) ფასი 50 თეთრი




ცხელი ამბავი ცხელი აგვისტოსთვის

# საქართველოს არგენტინის შანსი აქვს



AFP

## ორი იბერია: ვინ უფრო სარაგბო ერია?

ქართველ მორაგბეებს მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი თამაშები მოუგიათ. დღეს ერთი ასეთია: „მიხეილ მესხზე" 14 საათზე ბორჯღალოსნები ესპანელებს ერკინებიან და უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვთ, წაგება კატასტროფას, გულის მოკვლას, მსოფლიოს თასზე ვერმოხვედრას ნიშნავს და დღეს კავკასიელი იბერიელები დასავლეთის იბერიელებთან რკენაში ყველაფერს ჩადებენ, გულსა და სულს ჩააქსოვენ 80-წუთიან მატჩში. ესპანეთი არაა ხელწამოსაკრავი, მით უმეტეს ახლა, როცა სასწორზე მუნდიალის საგზური დევს, მაგრამ მისი ძლევა არ არის შეუძლებელი და ყველას გვჯერა, რომ ბორჯღალოსნები დღეს ამას შეძლებენ.

მერე კიდევ ერთი ზღუდე მოჩანს — პორტუგალია ან რუსეთი, თუ ჩვენები ესპანეთის შემდეგ ამათ შორის უმჯობესსაც სძლევენ, მსოფლიო თასიც მთელი თავისი დიდებულებით აღიმართება მათ წინაშე.

## მთავარი მატჩის მთავარი აქცენტი

### უჭრინი და კიკნაძე: 33 წელი და 7 ქულა

გინდათ, დარწმუნდეთ, რომ საქართველოს ჩემპიონატშიც არის კარგი თამაშები? ვინც ძალიან ალმაცერად და სკეპტიკურად უყურებს ამ ამბავს, იქნებ დღეს „მიხეილ მესხზე" მივიდეს — მხცოვანი და გამოცდილი დუშან უჰრინის „დინამო" ახალგაზრდა გიორგი კიკნაძის „ოლიმპს" მასპინძლობს, სასწორზე კი მხოლოდ სამი ქულა არ დევს: ასეთ მატჩებს ექვსქულიანებს ეძახიან, რადგან „დინამომ" თუ მოიგო, ცხრილის ზედა ნაწილი გვარიანად აფორიაქდება და დაიძაბება, ხოლო თუ წააგო, ძალიან გაუეკლიანდება საჩემპიონო გზა და ვინძლო, ოცნებადღა დაურჩეს პირველობა. მასპინძლებს სალსალამათი შემადგენლობა ჰყავთ, რუსთაველებს კი წინა ტურში გაძევებული მიხეილ მახვილაძე დააკლდებათ. ცხრილს თუ ჩახედავთ, ნახავთ, რომ ლიდერ „ოლიმპს" წაგების, დინამოელებს კი ფრეთა გრაფებში უწერიათ ნულები.

ტურის სხვა შეხვედრებიდან იმერული დერბი უნდა გამოვარჩიოთ: ქუთაისში თანაბარქულოვანები, „ტორპედო" და „ზესტაფონი" შეერკინებიან ერთმანეთს და, მართალია, ფეროელები პოტენციურად გაცილებით ძლიერებად ითვლებიან, ქუთათურებიც არ ხუმრობენ ამ სეზონში.

ბოლო ტურებში „ბათუმიც" მოფერიანებული ჩანს და ცოტა კრიზისმორეულ „ვიტ ჯორჯიას" იოლად არ გაატანს ქულებს.

არც გლდანშია ურიგო ჯახი: მეორეადგილოსანი „ამერი" ხომ საჩემპიონოდაა შემართული, მაგრამ „ლოკომოტივიც" არაა იოლად დამთმობი.



# ცხელი ამბავი: გამოვა და ჩამოვა არგენტინა?

საინტერესო ამბავი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან: დიდი შანსია, 22 აგვისტოს საქართველოს ნაკრებმა არგენტინის ეროვნულ გუნდს უმასპინძლოს. ამ ამხანაგური მატჩის გამართვის თაობაზე მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია და როგორი შედეგით დასრულდება, მალე შევიტყობთ.
ეს გვამცნო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენმდივანმა **უჩა უგულავამ**, რომელიც ორიოდ დღის წინ შვეიცარიაში, უეფას წევრი ფედერაციების გენმდივანთა შეხვედრაზე იმყოფებოდა.
საქართველო — არგენტინის შესაძლო ამხანაგური მატჩის გარდა უგულავა უეფაში განხილულ საკითხებზეც გვესაუბრა...



— უეფადან ჩვენთვის ერთი სასიამოვნო ამბავი ჩამოვიტანე: უკვე გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია „ჰეთ თრიქით“ გათვალისწინებული 1 250 000 შვეიცარიული ფრანკის გარდა დამატებით 600 ათასსაც მიიღებს. ახლა ფედერაცია იმ პროექტს შეიმუშავებს, რისთვისაც უმჯობესი იქნება ამ თანხის გამოყენება, უეფას ვაცნობებთ და გაისად ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის საჭირო თანხასაც მივიღებთ.

— ჯერ არ გაქვთ გადაწყვეტილი, დამატებულ 600 ათასს კონკრეტულად რისთვის გამოიყენებთ?

— რამდენიმე პრიორიტეტი გვაქვს, უახლოეს მომავალში კი კონკრეტულად ჩამოვყალიბდებით, ეს თანხა რისთვის იქნება უფრო საჭირო.

— კიდევ რა საკითხები განიხილეთ გენმდივნების შეხვედრაზე?

— აქცენტი ევრო 2008-ის საორგანიზაციო საკითხებზე, უეფას თასის გათამაშების ფორმატის შეცვლასა და მატჩისას მსაჯებს შორის აუდიოკავშირის კიდევ უფრო დახვეწაზე გაკეთდა. ევროპის მომავალ ჩემპიონატზე საუბრისას მეტწილად ტელეტრანსლირების დეტალებზე გამახვილდა ყურადღება, ხოლო უეფას თასის ფორმატი შესაძლოა, უკვე გაისადვე შეიცვალოს. როგორი სიხტემით ჩატარდება მომავალი გათამაშება, ჯერ უცნობია, თუმცა ფორმატის შეცვლაზე უეფა ძალიან სერიოზულად მსჯელობს.

— რუსეთის პრეზიდენტის განცხადების თაობაზე, პრემიერლიგაში ლეგიონერთა რაოდენობა უნდა შემცირდესო, რუს კოლეგასთან ხომ არ გისაუბრიათ?

— ეს საკითხი უეფაში ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციამ წამოჭრა, ჩვენთან აფრიკელების მოზღვავებააო. რამდენიმე სხვა ქვეყანამაც მწვავედ დააყენა თავიანთ ლიგებში ლეგიონერთა შემცირების საკითხი, თუმცა რუსეთს ამის თაობაზე სიტყვაც არ დასცდენია. უეფას აღმასრულებელ-განმკარგულებელმა ლარს-კრისტერ ოლსონმა თქვა, რომ ამ პრობლემის მოგვარება არაევროკავშირელ ქვეყნებს თავადვე შეუძლიათ, ევროკავშირელებმა კი ამ საკითხის უფრო დეტალურად განსახილველად სხვა ინსტანციებსაც უნდა ჰკითხონო.

— **სხვათა შორის, ცოტა ხანში უეფას საპრეზიდენტო არჩევნებია. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხმას რომელი კანდიდატი მიიღებს?**

— ჯერ ვერ გეტყვით, საიდუმლოა. ამ ეტაპზე კანდიდატებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

— **ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი შვეიცარიიდან გერმანიაში უნდა გამგზავრებულიყო. მომავალი ამხანაგური მატჩების თაობაზე ხომ არ არის რაიმე სიახლე?**

— ეროვნული გუნდის ორი ამხანაგური მატჩი უკვე გადაწყვეტილია, ურუგვაის და თურქეთს ვეთამაშებით. ამჟამად კი 19 და 17-წლამდელთა ნაკრებებისთვის ვცდილობთ ამხანაგური შეხვედრების გახერხებას. თუმცა, რა თქმა უნდა, ეროვნულზეც ვმუშაობთ და რამდენიმე ქვეყანასთან მოლაპარაკება უკვე დაწყებული გვაქვს.

— **მეტოქეები ისევ სახელოვანი გუნდები იქნებიან?**

— ან ძალიან სახელოვანი, ან სუსტი. საშუალო დონის მეტოქე საქართველოს ნაკრებს ამ ეტაპზე არ ეყოლება. ამხანაგური მატჩებისთვის ერთ-ერთი თავისუფალი დღე გაისად 22 აგვისტოა და საამდღეოდ თბილისში არგენტინის ნაკრების ჩამოყვანაზე ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს.

— **არგენტინელების აქ ჩამოყვანას ალბათ დიდი ფული დასჭირდება...**

— სწორედ ამიტომ ვეძებთ სპონსორებს, გარდა ამისა, უამრავ საორგანიზაციო საკითხზეც დავიწყეთ მუშაობა. არგენტინის ნაკრების 24 ამხანაგური მატჩის უფლება ერთ-ერთ რუსულ კომპანიას ეკუთვნის და ახლა სწორედ მასთან გვაქვს მოლაპარაკება.

— **რამდენად რეალურია თბილისში არგენტინის ჩამოსვლა?**

— ვნახოთ, როგორ წარიმართება მოლაპარაკებები, თუმცა არც ისაა გამორიცხული, არგენტინას სხვა ქვეყანაში ვეთამაშოთ.

**კობა ინასარიძე**

# რაც გავაკეთე, ძალიან ვნანობ

## ამირან მუჯირი საქართველოდან მიდის

წინა სეზონის მეორე წრეში „ბათუმი“ საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდად იყო და ლიდერებს ბევრი თავსატეხი გაუჩინა. მიმდინარე სეზონის წინ კი „ბათუმი“ ისევ დაიშალა და ზღვისპირელებმაც სეზონი სუსტად დაიწყეს. ბათუმელებს საქართველოში დაბრუნებული ამირან მუჯირი შეეშველათ — მუჯირის მოსვლის შემდეგ გუნდმა თამაში დაალაგა და ნებისმიერი მეტოქისთვის სერიოზულ ძალად იქცა.

კვიპროსში და ბულგარეთში თამაშის შემდეგ მუჯირმა რაღაცნაირი ეშხი შემოიტანა ეროვნულ ჩემპიონატში და რამდენჯერმე „სარბიელის“ სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა...



— შენი ჩამოსვლა აშკარად დაეტყო „ბათუმს“. კმაყოფილი ხარ შენი თამაშით?

— ძალიან მიხარია, რომ ჩემზე კარგს ამბობენ. სანამ აქ ვარ, მინდა, ჩემს გუნდს და ქვეყანას გამოვადგე და საამისოდ თავდაუზოგავად ვშრომობ.

— სანამ აქ ვარო, თქვი. წასვლას ხომ არ აპირებ?

— პირველ წრეს აუცილებლად ჩავამთავრებ. ახალი წლის შემდეგ კი ალბათ „ბათუმს“ დავტოვებ და თამაშს სხვაგან გავაგრძელებ.

— რაიმე კონკრეტული ვარიანტი ხომ არ გაქვს?

— წინასწარ არ მინდა ლაპარაკი, მაგრამ ბათუმში ჩამოსვლამდე რამდენიმე ვარიანტი მქონდა. იმ ეტაპზე რაღაც შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ, თუმცა ეს ვარიანტი ისევ ძალაშია. სავარაუდოდ, ახალი წლიდან სხვაგან ვითამაშებ.

— „ანართოსისიდან“ რატომ წამოხვედი?

— სპორტული პრინციპი გამო. უფრო კარგ ვარიანტს ველოდი, რომელიც, როგორც გითხარით, ისევ ძალაშია.

— კვიპროსსა და ბულგარეთში გითამაშია. თუ შეადარებდი ამ ქვეყნების ჩემპიონატებს საქართველოსას?

— კვიპროსშიც და ბულგარეთშიც ამბიციურ გუნდებში ვთამაშობდი. ორივეგან საკმაოდ მაღალი დონეა. საწყენია, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატს ამ ეტაპზე მათ ვერც შევადარებ. ადრე გაცილებით მაღალი დონის ჩემპიონატი გვქონდა.

— „ოლიმპთან“ მატჩში მიხეილ მაზვილაძესთან მომხდარ კონფლიქტზე რას იტყვი?

— რა უნდა ვთქვა... ფაქტია, ორივე არასპორტულად მოვიქეცით. ამის საკადრისი სასჯელი უკვე დავიმსახურე და სამ შეხვედრას გამოვტოვებ. ძალიან მწყინს, ასე რომ მოხდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## ინგლისი

ჩემპიონატი. XIV ტური
ბარნლი 3:2 პრესტონი

## გერმანია

ბუნდესლიგა. IX ტური
მაინცი 1:6 ვერდერი

II ბუნდესლიგა. IX ტური
აუგსბურგი 3:0 მიუნხენი
ბრაუნშვაიგი 0:2 ფიურტი
კარლ ცაისი 2:0 კობლენცი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XIII ტური
ჰერტა (მ) 1:1 დინამო
ზანკტ პაული 1:0 მიონხენგლადბახი (მ)

## ავსტრია

I დივიზიონი. XIV ტური
ავსტრია (ლ) 0:0 ლინცერი
ჰარტბერგი 3:1 ავსტრია (მ)
კაპფენბერგი 1:3 ლუსტენაუ
კერნტენი 2:0 გრატკორნი
პარნდორფი 0:1 ლეობენი
შვანენშტადტი 5:3 ადმირა

## შვეიცარია

ჩელენჯლიგა. XII ტური
კონკორდია 4:2 ლოკარნო

## იტალია

სერია B. IX ტური
ბრეშა 1:0 მოდენა

სერია C1/B. IX ტური
პერუჯა 1:1 ფოჯა

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XIII ტური
ბასტია 0:0 გენგამი
ბრესტი 1:0 ნიორი
დიჟონი 2:0 შატორუ
გენიონი 0:1 სტრასბური
ლიბურნი 0:0 ლე ავრი
მეცი 2:1 ტურსი
მონპელიე 1:2 ამიენი
რეიმსი 0:0 კრეტეი
კაენი 4:0 აიაჩო

## ბელგია

იუპილერლიგა. X ტური
ბრიუგე 5:1 მუსკრონი

## ჰოლანდია

II დივიზიონი. XIV ტური
დორდრეხტი 2:1 კამბური
ვოლენდამი 3:0 იგლსი
ზვოლე 0:1 დენ ბოსხი
სიტარდი 0:4 ემენი
ჰაარლემი 2:1 ეინდჰოვენი
ჰელმონდი 2:0 ალმერე
როზენდალი 4:1 მაასტრიხტი
ოსი 4:2 გრააფსხაპი
ვეენდამი 4:0 აპელდორნი
ვენლო 2:1 ტელსტარი

## პოლონეთი

I ლიგა. XII ტური
ვიძევი 0:1 ლეგია

## სლოვაკეთი

I ლიგა. XVIII ტური
სენეცი 0:3 ჟილინა

## ირლანდია

პრემიერლიგა. XXVII ტური
ბოჰემიანსი 0:1 დუბლინი
დროჰედა 2:0 ლონგფორდი

ასოციაციის თასი
ნახევარფინალი
შემროკი 0:2 *სენტ პატრიკსი*

## უკრაინა

უმაღლესი ლიგა. XII ტური
შახტარი 4:1 კარპატი

## უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. XI ტური
მტკ 0:1 ფეჰერვარი

## რუმინეთი

A დივიზიონი. XIII ტური
უნივერსიტატია 2:2 პანდურიი

## პორტუგალია

სუპერლიგა. VIII ტური
ბეირა მარი — სპორტინგი *გვიან გაიმართა*

# საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 10 ტური



ბორჯომი. 29 ოქტომბერი. 15 საათი. ჟ. ზეინკლიშვილი

**ბორჯომი — ჩიხურა**

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; მ. ელიკაშვილი, ს. სპიცინი; მ. მაისურაძე

ბათუმი. 29 ოქტომბერი. 15 საათი. დინამო

**ბათუმი — ვიტ ჯორჯია**

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე; კ. ჭაჭუა

თბილისი. 29 ოქტომბერი. 15 საათი. მიხეილ მესხი

**დინამო — ოლიმპი**

მსაჯები: ლ. სილაგავა; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე; ა. კრიჭაშვილი

გორი. 29 ოქტომბერი. 15 საათი. თ. ბურჯანაძე

**დილა — მერანი**

მსაჯები: დ. სანაია; გ. დოგრაშვილი, ზ. ხუციშვილი; დ. ხარიტონაშვილი

თბილისი. 29 ოქტომბერი. 15 საათი. ამერი

**ამერი — ლოკომოტივი**

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი

ქუთაისი. 29 ოქტომბერი. 15 საათი. ტორპედო

**ტორპედო — ზესტაფონი**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, ზ. ერქვანია; ვ. ელისაბედაშვილი

ბოლნისი. 29 ოქტომბერი. 15 საათი. თ. სტეფანია

**სიონი — კახეთი**

მსაჯები: ო. ხეცაძე; ხ. გაგნიძე, ა. გუნთაძე; ა. ნონიკაშვილი

# 63 წლის უჰრინი VS 30 წლის კიკნაძე
## მაღალი ბურთები, მაღალი პრემიები

*დუშან უჰრინის ხელში თბილისის „დინამოს“ თამაში არ ნაუგია, გიორგი კიკნაძის გაწვრთნილი რუსთავის „ოლიმპი“ კი ჩემპიონატში დაუმარცხებელია — თქმა არ უნდა, ტურის მთავარი მატჩი „დინამო — ოლიმპია“. ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ ჩემპიონობისთვის მებრძოლი „დინამოსთვის“ ახლა ყველა თამაშს ოქროს ფასი აქვს. „დინამოს“ ტრავმიანი არავინ ჰყავს და ოპტიმალური შემადგენლობით დაუხვდება ჩემპიონატის ლიდერს. „ოლიმპი“ კი დაცვის ბურჯს, დისკვალიფიცირებულ მიხეილ მახვილაძეს მოისაკლისებს... მატჩისწინა ინტერვიუ „დინამოს“ რომელიმე ფეხბურთელთან გვსურდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ ფეხბურთელებს ამ თამაშის წინ ინტერვიუსგან თავის შეკავება ურჩია... „ოლიმპის“ 30 წლის მწვრთნელი გიორგი კიკნაძე „დინამოს“ 63 წლის მწვრთნელ დუშან უჰრინის წინააღმდეგ — სამწვრთნელო გამოცდილებაში დიდი სხვაობაა, თუმც ამასთან დაკავშირებით კიკნაძეს თავისი არგუმენტი აქვს...*

— „დინამოსთან“ მატჩისთვის ძალიან სერიოზულად, განსაკუთრებულად ვემზადებით. თასის ჯგუფურ ეტაპზე „დინამოსთან“ 0:3 წავაგეთ და ახლა რევანშის აღება გვინდა.

**— ამ მატჩისთვის „ოლიმპს“ განსაკუთრებული პრემიები აქვს დაწესებული?**

— ასეა. ამ მატჩში გამარჯვებისთვის განსაკუთრებული პრემიები იქნება.

**— მეტოქეზე რას იტყოდით?**

— „დინამომ“ უჰრინის ხელში თამაში გამოასწორა, გუნდი სხვანაირად ათამაშდა. „დინამოს“ სტუმრად ვეთამაშებით, მაგრამ ეს ფაქტორი გადამწყვეტი არ უნდა იყოს. ამ გუნდთან თამაშის სინდრომი ყოველთვის კი არის, მაგრამ ეს უნდა დავძლიოთ. ვფიქრობ, შანსები თანაბარია, გუნდების ძალაში დიდი სხვაობა არ არის.

**— დიდი სხვაობა უჰრინის და კიკნაძის სამწვრთნელო გამოცდილებაშია.**

— რა თქმა უნდა, ასეთი სხვაობა არის, მაგრამ ისიცაა, რომ უჰრინი საქართველოში ახალი ჩამოსულია და ვფიქრობ, ამ მოკლე ხანში ბოლომდე ვერ გაერკვეოდა ჩვენს ჩემპიონატში.

**— როგორ თამაშს დაუპირისპირებს „ოლიმპი“ „დინამოს“?**

— ამას თამაშის დღეს გადავწყვეტთ.

**— ოთხშაბათს, თასის ჯგუფური ეტაპის მესამე ტურში „დინამო“ მეორე შემადგენლობით ეთამაშა „ჩიხურას“ და „ოლიმპთან“ მატჩისთვის ძალები დაზოგა — ეს უპირატესობას აძლევს „დინამოს“?**

— არა მგონია. სათასო მატჩში ჩვენც დავასვენეთ ძირითადი შემადგენლობის ბირთვი.

**— თქვენი ვარაუდით, რა სტრატეგიას აირჩევს „დინამო“ ამ შეხვედრაში?**

— მაღალი ბურთები სანდრო იაშვილის მისამართით — ალბათ, ასე იქნება. ყოველ შემთხვევაში, „დინამო“ აქამდე ასე თამაშობდა.




„დინამო“ — „ოლიმპის“ მატჩისკენ ექნება ცალი ყური და თვალი თბილისის „ამერს“. ამერელებისთვის ამ შეხვედრაში ყველაზე სასურველი შედეგი ფრე უნდა იყოს. ისე კი, არა გვგონია, თვითონ „ამერსაც“ იოლი მატჩი ჰქონდეს — თბილისის „ლოკომოტივი“ ახლა საგრძნობლად უკეთ გამოიყურება, ვიდრე ჩემპიონატის დასაწყისში — ბოლო ოთხი მატჩიდან „ლოკომოტივი“ მხოლოდ ერთხელ დამარცხდა, ისიც შეუპოვარ ბრძოლაში უჰრინის „დინამოსთან“ — 0:1.

ძალიან საინტერესო უნდა იყოს იმერული დერბიც. სახელიანი ფეხბურთელებითა და გამოცდილებით „ზესტაფონი“ მნიშვნელოვნად აღემატება „ტორპედოს“, მაგრამ ქუთაისელები შინ თამაშობენ და გუნდს ისეთი გამოცდილი და მრავლისმნახველი კონსულტანტი ჰყავს, როგორიც რევაზ ძოძუაშვილია. ვფიქრობ, „ტორპედოს“ ხელეწიფება „ზესტაფონისთვის“ ქულების ართმევა — მასპინძლებს ბოლო სამი მატჩი არ წაუგიათ.

ძვალთამტვრევა და დაძაბული თამაში უნდა იყოს ბათუმში — ამ წყვილშიც ძალიან ძნელია შედეგის გამოცნობა — „ბათუმი“ მოღონიერებული ჩანს, „ვიტ ჯორჯია“ კი ამ სეზონში არასტაბილურად თამაშობს, მაგრამ აქვს პოტენცია, საქართველოში ნებისმიერ გუნდს მოუგოს შინ თუ გარეთ. „ბათუმს“ დისკვალიფიცირებული შემტევი ამირან მუჯირი არ ეყოლება, რაც მასპინძლებისთვის დიდი დანაკლისია. საუკეთესო შემადგენლობით ვერც „ვიტ ჯორჯია“ ითამაშებს — პაატა დათუნაიშვილს ჯერ არ მოუხდია ოთხმატჩიანი სასჯელი.

ბოლნისში „სიონმა“ უნდა მოიგოს. თუ რამ სენსაცია არ მოხდა, „კახეთი“ ბოლნისში მომგებს ნაღდად არ ჰგავს.

გორში „დილა“ პირველი გამარჯვების დაგემოვნებას ეცდება, მაგრამ გასულ ცხრა ტურში „მერანი“ „დილაზე“ უკეთეს გუნდად წარმოგვიდგა, რაც ცხრილშიც კარგად იკითხება.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 9 | 8 | 1 | 0 | 24:1 | 25 |
| ამერი | 9 | 7 | 2 | 0 | 16:2 | 23 |
| დინამო | 9 | 6 | 0 | 3 | 16:7 | 18 |
| ზესტაფონი | 9 | 5 | 3 | 1 | 12:3 | 18 |
| ვიტ ჯორჯია | 9 | 5 | 3 | 1 | 17:12 | 18 |
| ტორპედო | 9 | 5 | 3 | 1 | 10:5 | 18 |
| სიონი | 9 | 4 | 2 | 3 | 10:7 | 14 |
| ლოკომოტივი | 9 | 3 | 2 | 4 | 9:10 | 11 |
| ბათუმი | 9 | 2 | 2 | 5 | 9:9 | 8 |
| მერანი | 9 | 2 | 2 | 5 | 7:16 | 8 |
| ჩიხურა | 9 | 1 | 3 | 5 | 6:15 | 6 |
| ბორჯომი | 9 | 1 | 2 | 6 | 10:20 | 5 |
| დილა | 9 | 0 | 2 | 7 | 4:25 | 2 |
| კახეთი | 9 | 0 | 1 | 8 | 9:27 | 1 |

**ბომბარდირები**

| | | |
|---|---|---|
| 4- | ზეიქრიშვილი | ვიტ ჯორჯია |
| | გოჩაშვილი | ლოკომოტივი |
| | დვალიშვილი | ოლიმპი |
| | იაშვილი | დინამო |
| | გელაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| | სირბილაძე | ოლიმპი |
| | ფიფია | ზესტაფონი |
| | ალავიძე | სიონი |
| | ქებაძე | ოლიმპი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# РОССИЯ И НИКОГО БОЛЬШЕ

**რუსეთში მორიგი სკანდალი რაც გნებავთ, დაარქვით) მწიფდება. ვლადიმირ პუტინის ერთ „ღრმააზროვან“ გამონათქვამს რუსული ფეხბურთის ლეგიონერებისგან გაწმენდის თაობაზე მხარი სხვებმაც აუბეს და უკვე ათი, ასი და მილიონი თქვეს**







მავანი რუსი მიმომხილველის თუ გულშემატკივრის აზრი ჩვენთვის შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი იქნებოდა, მაგრამ საქმე სწორედ ისაა, რომ პუტინის სიტყვა „დიდებმა“ აიტაცეს და სასწრაფოდ მოითხოვეს უცხოტომელთა ლეგიონერობის აკრძალვა.

პუტინის გამოსვლიდან რამდენიმე საათში რუსეთის საფეხბურთო კავშირმა გადაწყვიტა, სამომავლო გეგმები გაეცნო საზოგადოებისთვის და, დედა, რა ჭკვიანია ეს ჩვენი პრეზიდენტი, სწორედ ამის გაკეთებას ვაპირებდით უახლოეს მომავალშიო...

ერთხელაც ვთქვათ, რომ რუსულ პრემიერლიგაში ყველაზე მეტი წარმომადგენელი უკრაინას 18), ბელარუსს 15), საქართველოს 14) და ბრაზილიას 14) ჰყავთ და, ბუნებრივია, ამ თემის მიმართ ჩვენი ინტერესი საკმაოდ დიდია.

რუსეთში ლეგიონერობის აკრძალვის თემას თავიდანვე გამორჩეულად მივაყურადეთ და გუშინდელ „სარბიელში“ რუსეთის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო სააგენტოს ჩვენებურად: სპორტის სამინისტრო) ხელმძღვანელის ვიაჩესლავ ფეტისოვის კომენტარი შემოგთავაზეთ, დღეს კი ამაზე უფრო ვრცლად ვისაუბროთ.

„რუსეთის ჩემპიონატში ლეგიონერების თამაში აუცილებლად უნდა ავკრძალოთ“ — ასე გამოეხმაურა ფეტისოვი ვ. ვ. პუტინს და „თავისი“ ნააზრევი „რკინის“ არგუმენტებით გაამყარა...

„აუცილებელია, გარკვეული ხნით ავკრძალოთ უცხოელი ფეხბურთელების რუსულ კლუბებში გადასვლა. უკიდურეს შემთხვევაში, მათი რაოდენობა მინიმუმამდე შევამციროთ. გავზარდოთ ჩვენი ბიჭები და მერეღა ვიფიქროთ აკრძალვის მოხსნაზე“ — ასეთია ფეტისოვის ერთ-ერთი პოსტულატი, მაგრამ...

„ძალიან თამამი განცხადებაა და ძნელი დასაჯერებელია, ჩვენი სპორტის შეფს ეს გამოუვიდეს. გინდაც იურიდიულად შევხედოთ ამ საკითხს, გინდაც, უბრალოდ, ცივი გონებით“ — წერს რუსული „გაზეტა“ და იქვე ორი საინტერესო შეხედულება მოჰყავს: „ჯერ ერთი, სახელმწიფოს პირველი პირი და სპორტის ხელმძღვანელი არ შეიძლება, არ ერკვეოდნენ იმაში, რომ ბოლო წლებში რუსეთში მართლაც ჩამოვიდნენ ძალიან მაღალი დონის ლეგიონერები, რომლებმაც აშკარად გააძლიერეს ჩვენი ჩემპიონატი. და მეორეც: თუკი ასობით ლეგიონერს, რომლებსაც კლუბებთან მრავალწლიანი კონტრაქტები აქვთ, მოქალაქეობის გამო კარისკენ მიუთითებენ, ევროპული სასამართლო ვერანაირად ვერ გაამართლებს ვერც საფეხბურთო კავშირს, ვერც კლუბებს და ვერც პირადად ფეტისოვს.“

სამწუხაროდ, რუსეთში ასე სალად მოაზროვნე ადამიანების აშკარა დეფიციტია, მით უმეტეს, რუსეთის ხელისუფლებაში. ყოველ შემთხვევაში, რუსეთში უკვე ხმამაღლა ლაპარაკობენ პუტინის „იდეაზე“ და მის სისრულეში მოყვანასაც დაუყოვნებლივ მოითხოვენ. თანაც, რაც მთავარია, ამას ჩინოსნები აკეთებენ და საინტერესოა, სხვათა გარდა, პირველ რიგში რა ბედი ელით მალხაზ ასათიანს, გიორგი ჭელიძეს, მიხეილ აშვეთიას, გიორგი ქინქლაძეს, ლაშა სალუქვაძეს, ნუკრი რევიშვილს, დავით მუჯირს, ზურაბ არზიანს, ბექა ჟღენტს, გოგიტა გოგუას, ლევან გვაზავას, ალექსანდრე ამისულაშვილს, გიორგი ლომაიას და ზურაბ მენთეშაშვილს. აღარაფერს ვამბობთ, რუსეთის პირველ დივიზიონში მოთამაშე რამდენიმე ქართველზე...

სხვათა შორის, რუსულ პრემიერლიგაში ლეგიონერების შემცირებაზე უკვე რამდენიმე წელია, ლაპარაკობენ და ამის მაგალითი წლევანდელი სეზონიც იყო, როცა საფეხბურთო კავშირის დადგენილებით, კლუბებს ძირითად შემადგენლობაში რვა უცხოელზე მეტის თამაშის უფლება არ ჰქონდათ. ამ გადაწყვეტილებას კლუბები უპრობლემოდ დაეთანხმნენ, მაგრამ რას იტყვიან ახლა, ფეტისოვის გაპუტინების მერე, ძნელი სათქმელია. ის კი ძალიან საინტერესო უნდა იყოს, რომ საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ვიტალი მუტკო ხელისუფლების დიდი მხარდაჭერით სარგებლობს და...

ისევ „გაზეტა“: „რუსეთის საფეხბურთო კავშირი უნდა წავიდეს ფიფას გზით, რომელიც ფედერაცია-ასოციაციებისგან თავისი აღსაზრდელების რაოდენობის გაზრდას მოითხოვს. ალბათ გრძნობთ განსხვავებას მოთხოვნათა ტონებში — ფიფას რჩევა ლეგიონერების რაოდენობის შემცირება კი არა, „შენიანების“ რაოდენობის გაზრდაა.“

და ერთიც. პუტინმა თქვა, რომ რუსულ ფეხბურთს აწუხებს სამი პრობლემა: ცუდი მოედნები და განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, ბავშვთა ფეხბურთი, ბევრი ლეგიონერი.

ფეტისოვმა თქვა, რომ ეთანხმება პრეზიდენტს და რუსული ფეხბურთის ჭირად შერაცხული ლეგიონერობა სასწრაფოდ უნდა აიკრძალოს.

აკი, ცუდი მოედნები, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა და ბავშვთა ფეხბურთი?

ეს ვის აინტერესებს.

მათი აზროვნების ვექტორი ხომ აქეთ მოდის: მთავარია, უკრაინელებს, ქართველებს, პოლონელებს, ხორვატებს და სხვებს დაკარტყათ. ამით გვეშველება და რუსული ფეხბურთი არნახულ სიმაღლეზე ავა...

ალბათ საინტერესო უნდა იყოს, რას ფიქრობს ამ ყველაფერზე სანკტ პეტერბურგის „ზენიტის“ ცნობილი ჰოლანდიელი მწვრთნელი დიკ ადვოკაატი:

„ძალიან უცნაური იყო ვლადიმირ პუტინისგან ამის გაგონება. წამყვან ევროპულ კლუბებს უამრავი ლეგიონერი ჰყავთ. მაგალითად, „ჩელსის“ ძირითადში ორი ინგლისელი თუ თამაშობს, „არსენალში“ კი ხანდახან თერთმეტივე უცხოელია. თუ წარმატების მიღწევა გინდა, მოთამაშის პასპორტს არ უნდა შეხედო. პუტინს მხოლოდ იმაში დავეთანხმები, რომ მოსაწესრიგებელია ინფრასტრუქტურა და მისახედია ბავშვთა ფეხბურთი.“

რუსების გადამკიდე, გაგრძელება აუცილებლად იქნება...

**ქახა შალამბერიძე**



# გიორგი ჭელიძეს დინამოს უმზადებენ

**მოსკოვის** „ლოკომოტივის“ ქართველმა თავდამსხმელმა გიორგი ჭელიძემ შესაძლოა, რუსული პრემიერლიგის 26-ე ტურში მოსკოვის „დინამოსთან“ მატჩში ითამაშოს. რკინიგზული კლუბის პრესსამსახურის ცნობით, ჭელიძე თავს კარგად გრძნობს და მზადაა, კვირას გუნდს დაეხმაროს.

შეგახსენებთ, რომ ჭელიძეს ტრავმის გამო რამდენიმე თვე გაუცდა და ხანგრძლივი შესვენების შემდეგ პირველად რამდენიმე დღის წინ სარეზერვო გუნდში ითამაშა — პატარა ლოკომოტიველები თანაქალაქელ „ტორპედოს“ 0:0-ზე გაეყარნენ, ჩვენებური კი შესვენებაზე შეცვალეს.

ახლა „პაჭელო“ ძირითად გუნდში სათამაშოდ ემზადება და თუ მწვრთნელები ენდნენ, მოედანზე გასვლაში ხელს ვერაფერი შეუშლის.

ცნობისთვის: „ლოკომოტივი“ სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა და ხუთი ქულით ჩამორჩება ლიდერ ცესკას.

**ქახა შალამბერიძე**

# გახოკიძეს ვარჯიშმა მწარე ფიქრები დაავიწყა

## ტვენტეში თუ ვითამაშებ, მაინც წავალ



„ასე თუ გამიგრძელდა ტრავმები, მეტი რა დამრჩენია, ფეხბურთს თავს დავანებებ“ — ასე გაუხდა საქმე გოგა გახოკიძეს, რომელიც ვერც „ტვენტეში“ თამაშობს და საქართველოს ნაკრების ოფიციალურ მატჩებშიც მხოლოდ 25 წუთი იბურთავა ფარერების წინაალმდეგ.

თუმცა გუშინ გოგას ჰოლანდიაში რომ შევეხმიანეთ, გახარებულმა გვითხრა — ორი დღეა, გუნდთან ერთად ვვარჯიშობ და ტკივილიც გამიქრაო.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ქართველი მარცხენაფლანგელი დაახლოებით ერთი კვირა ან ათი დღე ვერ ითამაშებს, რადგან ჯერ ფიზიკური კონდიციები უნდა აღიდგინოს.

„იანვარში ორი წელი გახდება, რაც ტრავმები არ მასვენებს, ზედიზედ ხუთი თამაშიც არ მითამაშია. ახლაც ვერ ვარ მთლად ხალისიანად, მეშინია, კიდევ რამე არ დამემართოს“.

15 ნოემბერს საქართველოს ნაკრებს ურუგვაისთან ამხანაგური მატჩი აქვს, თუმცა გახოკიძეს ეეჭვება, რომ თამაში შეძლოს:

„მანამდე თუ „ტვენტეში“ ვითამაშე, მაშინ ნაკრებშიც ჩამოვალ“.

და ერთიც. ამას წინათ გახოკიძემ გვითხრა, ენსხედედან წასვლა გადავწყვიტე და კარგი იქნება, ზამთარშივე თუ დავტოვებ კლუბსო. გოგა ახლაც ამ აზრზეა, „ტვენტეში“ თავს ცუდად ვგრძნობო.

„წავალ თუ არა „ტვენტედან“, ეს ჩემს ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული. ტრავმამ თუ აღარ „მომაკითხა“, სასურველი გუნდის მონახვა არ გამიჭირდება. რა თქმა უნდა, დაბალი დონის ჩემპიონატში არ გადავალ — ყველაფერს ავწონ-დავწონი. რაც მთავარია, ახლა ვვარჯიშობ და საშინელი ფიქრები დროებით თავიდან ამოვიგდე. ფეხბურთისთვის თავის დანებება ჩემთვის ძალიან ძნელი იქნება“.

**ილია ნანოგაშვილი**

# ჩეხმა შეჯახება გადაახვია



**ჩეხეთის** ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის" მეკარემ პეტრ ჩეხმა, დაახლოებით ორი კვირის წინ მიღებული თავის მძიმე ტრავმის შემდეგ პირველი კომენტარი გააკეთა. შეგახსენებთ, რომ მას რედინგელი სტეფან ჰანტის მუხლი მოხვდა და სერიოზული ოპერაციის გადატანა მოუხდა.

„როგორ დაიწყო მატჩი, ისიც კი არ მახსოვს კარგად, შესაბამისად, არც შეჯახება. მხოლოდ ის მახსოვს, მეტოქეს ხელი რომ ჩამოვართვი. მერე ყველაფერი ჩანაწერში ვნახე და ახლა ამაზე საუბარი არ მინდა" — თქვა ჩეხმა.

ამბობნე, რომ მისი სარეაბილიტაციო პერიოდი დიდხანს გასტანს და ალბათ ამ სეზონში ველარც ითამაშებს. ჩეხი მკურნალობას სახლში აგრძელებს და, ექიმების თქმით, ყველაფერი კარგად მიდის. იგი „ჩელსის" ვარჯიშებს ესწრება ხოლმე.

„ყველაფერი რიგზეა, თავს უკეთ ვგრძნობ და მიხარია, როცა ბიჭების ვარჯიშს ვუყურებ. თავიდან ძნელი იყო ამასთან შეგუება, საშინელ თავის ტკივილს ვგრძნობდი. ახლა ამას ყურადღებას აღარ ვაქცევ და ნელ-ნელა საქმე კარგად მიდის".

ტრავმირებული ჩეხი „ჩელსის" წევრების გარდა უამრავმა ადამიანმა მოიკითხა, რისთვისაც მან ყველას მადლობა გადაუხადა: „ძალიან მესიამოვნა. კლუბის წევრები ხომ მიდგანან მხარში და ქომაგებისგანაც ბევრი წერილი მივიღე. ყველასი ძალიან მადლიერი ვარ".

**გიორგი ძაძაბაძე**

# გაზა ფერუმარილით



**ამ ოთხშაბათს** გაზა მთვრალი არ იყო და ერთ ღამის კლუბში შეიარა. იქ ერთ სამხრეთელ გოგოს გადაეყარა, იმასთან იცეკვა და იმას მოყოლილი ამბებიც გააბა. თუმცა, რად გინდა?

კლუბიდან გამოსულს, ქალის ფერუმარილით ცხვირპირმოთხვრილ გაზას პაპარაცი დაუდარაჯდა და თავისი აპარატის ჩხაკუნიც აუტეხა. გაზა, ცხადია, გაბრაზდა და აბეზარ ფოტოგრაფს მუშტი უთავაზა. ოღონდაც, პაპარაცის მოტოციკლისტის ჩაფხუტი ეხურა, რახან, პაპარაცები მოტოებით დაქრიან და გასაქცევად ყოველთვის მზად არიან. შედეგად, გაზამ ხელი გადაიყვლიფა.

სწორედ ამ კვირაში, პოლ გესქოინს პოლ ინსმა შესთავაზა, პაწაწინა „მაკლსფილდში" ერთად ვიმუშაოთო. გაზა კი სულ მთვრალია.



კარლოს ალბერტო

# კიას ბიზნესი: ხალხის გადაზიდვა

**კია ჯურაბჩიანი** მზადაა, რომ ბრაზილიიდან კიდევ ერთი ფეხბურთელი ჩამოუყვანოს გაუბედურებულ „ვესტ ჰემს". ჯერ კარლოს ტევესმა და ხავიერ მასკერნომ რა უშველეს ალან პერდიუს შარშან კარგ გუნდს და ახლა კიდევ ერთი უნდა მიეშველოს. თუმცა, ეს ერთი ალბათ უფრო ივარგებს.

ეს ყოფილა, ასევე კორინთიანსელი ნახევარმცველი კარლოს ალბერტო, რომელსაც მწვრთნელ ემერსონ ლეაოსთან უჩხუბია და კიასაც აღარ დაუხანებია. 21 წლის მოთამაშესთან ფორმალური კონტრაქტი მალევე გაფორმდება, იანვრიდან კი კარლოს ალბერტო „ვესტ ჰემში" იქნება.

ჯურაბჩიანს კვლავაც გულში აქვს „ვესტ ჰემის" ყიდვა 70 მილიონ გირვანქად და ამ საქმეში ისრაელელ მაგნატს ელი პაპუჩადოს დაიხმარს. ორივენი ამ კვირაში გუნდის ვარჯიშზე ყოფილან.

კარლოს ალბერტოს რომ მივუბრუნდეთ, ამ ბიჭს სახელი აქვს. ის, მთლად ყრმა ჟოზე მაურინიუს „პორტუში" თამაშობდა და ჩემპიონთა ლიგის ფინალში გოლიც გაუტანა „მონაკოს", მერე კი ბრაზილიაში დაბრუნდა. „ვესტ ჰემს" კი მისი შრომის უფლების მოპოვებისთვის ბრძოლა მოუწევს, რადგან კარლოს ალბერტო თავისი ქვეყნის ნაკრებში არ თამაშობს.

**ირაკლი გამყრელიძე**

| X ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ნიუკასლი | : | ჩარლტონი |
| პორტსმუთი | : | რედინგი |
| შეფილდი | : | ჩელსი |
| უოტფორდი | : | ტოტენჰემი |
| არსენალი | : | ევერტონი |
| ბოლტონი | : | მანჩესტერი |
| ფულემი | : | უიგანი |
| ლივერპული | : | ასტონ ვილა |
| **ხვალ** | | |
| ვესტ ჰემი | : | ბლეკბერნი |
| **ზეგ** | | |
| სიტი | : | მიდლსბრო |

## ინგლისი

# გზააბნეული ბენიტესი

**„ჩელსის"**, რომელიც დღეს „მანჩესტერზე" ადრე თამაშობს, პირველ ადგილზე გადასვლის კარში შანსი აქვს, რადგან პრემიერლიგის ახალწვეულ „შეფილდს" სტუმრად ხვდება და მოგება არ უნდა გაუჭირდეს. „მანჩესტერს" კი ნამდვილად არ ელის იოლი გასეირნება მესამეადგილოსან „ბოლტონთან", რომელმაც სეზონი საუცხოოდ დაიწყო და ბოლო ოთხ ტურში ოთხივე თამაში მოიგო. მანჩესტერელ უეინ რუნის უკვე 10 მატჩია გოლი არ გაუტანია და, ამ გუნდის ქომაგები ფერგიუსონის თამადობით ელიან, რომ 21 წლის ფორვარდი ნავსს გატეხს. ვან დერ საარმა თქვა: „რუნი სეზონში 55 მატჩს ატარებს და, რასაკვირველია, ყველაში ვერ გაიტანს. ხან გამოუვა, ხან არა, მაგრამ მის სიძლიერეში ჯერ არავინ დაეჭვებულა. გულშემატკივრები კვლავაც პატივს სცემენ და ფერგიუსონიც ისევ ენდობა".

„ბოლტონთან" შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში ალბათ კრიშტიანუ რონალდო გამოჩნდება დარენ ფლეტჩერის ნაცვლად.

მიუხედავად იმისა, რომ წინა ტურში „მანჩესტერმა" „ლივერპულს" 2:0 მოუგო და 11 ქულით უსწრებს, სერ ალექსმა განაცხადა, „ლივერპულს" ნუ ჩამოვწერთო. რაფაელ ბენიტესის გუნდი „ასტონ ვილას" მასპინძლობს, რომელიც პრემიერლიგაში ერთადერთი წაუგებელია. ესპანელისთვის ეს იქნება 99-ე მატჩი „ლივერპულის" მწვრთნელის რანგში. ბენიტესი: „ცხადია, წარმატების მიღწევის ბევრი გზა არსებობს და ჩვენ ახლა ამ გზას ვეძებთ. გუნდს შეთამაშება აკლია, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ორ წელიწადში ოთხი ჯილდო მოვიგეთ".

ბირმინგემის „ასტონ ვილა" მარტინ ონილმა სეზონის დაწყების წინ ჩიბარა და მის ხელში იგი სოლიდურ გუნდად იქცა. „ცხრილის ზედა ნაწილში ყოფნა თუ გვსურს, თამაშები უნდა მოვიგოთ. კარგია, დაუმარცხებლები რომ ვართ, მაგრამ ეს საკმარისი არაა. ფრეებით შორს ვერ წავალთ" — ბრძანა ონილმა.

„ჩელსი" კი შეფილდში ჩავა და ალბათ ძირითად შემადგენლობაში იქნება ჯო კოული, რომელმაც შუა კვირაში ლიგის თასზე „ბლექბერნს" გაუტანა. „მუხლი უკვე მომირჩა და თავს შესანიშნავად ვგრძნობ — თქვა კოულმა — ვიმედოვნებ, რომ ნაკრებშიც დამაბრუნებენ".

ჰარი რედნაპის „პორტსმუთი" რომელიც ერთი კვირის წინ „ჩელსის" ეომა და 1:2 წააგო, „რედინგს" მასპინძლობს. რედინგელებმა ბოლო ორი გასვლითი მატჩი მოიგეს და „პორტსმუთს" გვარიანი ოფლის ღვრა მოუწევს მეტოქის დასამარცხებლად. თუმცა მასპინძლებს ბენჯანი მვარუვარის ეიმედებათ, რომელიც ჩინებულ ფორმაშია.

**ირაკლი ნინიძე**



ათი მატჩია, რუნის გოლი არ გაუტანია

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | | | | 0:1 | | | | 5:1 | | | 2:0 | | 1:0 | | | 2:0 | | | | |
| 2 | ჩელსი | | | | | 2:1 | | 1:1 | | | | 1:0 | | | 3:0 | | | | | | 2:1 |
| 3 | ბოლტონი | | | | | | | | | | | 2:0 | 0:0 | 2:0 | | | | | 1:0 | | |
| 4 | არსენალი | | | | | | | 1:1 | | | | | 1:1 | | | | | 3:0 | 3:0 | | |
| 5 | პორტსმუთი | | | 0:1 | | | | | | | 3:0 | | | | | 1:0 | | | | 2:0 | |
| 6 | ევერტონი | | | | | | | | | | | 3:0 | | | 1:1 | 2:2 | | 2:0 | 2:1 | | |
| 7 | ასტონ ვილა | | | | | | | | 1:1 | 2:1 | | | | 1:1 | | | 2:0 | | | | 2:0 |
| 8 | ფულემი | | 0:2 | 1:1 | | | | | | | | | | | | | | 1:0 | | | 2:1 |
| 9 | რედინგი | 1:1 | 0:1 | | 0:4 | | | | | | | | 3:2 | | 1:0 | | | | | | |
| 10 | ბლექბერნი | | 0:2 | 0:1 | | | 1:1 | | | | | | | | 4:2 | 2:1 | | | | | |
| 11 | ლივერპული | | | | | | | | | | 1:1 | | | 3:0 | | | 2:0 | | | 2:1 | |
| 12 | მიდლსბრო | | 2:1 | | | 0:4 | 2:1 | | | | 0:1 | | | | | | 1:0 | | | | |
| 13 | ტოტენჰემი | | | | | 2:1 | 0:2 | | 0:0 | | | | | | | | | 2:0 | | 1:0 | |
| 14 | სიტი | | | | 1:0 | 0:0 | | | | | | | | | | | | 0:0 | | 2:0 | |
| 15 | უიგანი | 1:3 | | | | | | | | 1:0 | | | | | 4:0 | | | | 1:1 | | |
| 16 | ნიუკასლი | | | 1:2 | | | 1:1 | | 1:2 | | | | | | | 2:1 | | | | | |
| 17 | შეფილდი | | | | | | | | | 1:2 | 0:0 | 1:1 | 2:1 | | | | | | | | |
| 18 | უოტფორდი | 1:2 | | | | | | 0:0 | 3:3 | | | | | | | | | | | 1:1 | |
| 19 | ვესტ ჰემი | | | | | | | 1:1 | | 0:1 | | | | | | | 0:2 | | | | 3:1 |
| 20 | ჩარლტონი | 0:3 | | 2:0 | 1:2 | 0:1 | | | | | | | | | | | | | 0:0 | | |

| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | 9 | 7 | 1 | 1 | 19:5 | 22 | 4 | 0 | 1 | 10:2 | 12 | 3 | 1 | 0 | 9:3 | 10 |
| 2 | ჩელსი | 9 | 7 | 1 | 1 | 15:5 | 22 | 4 | 1 | 0 | 9:3 | 13 | 3 | 0 | 1 | 6:2 | 9 |
| 3 | ბოლტონი | 9 | 6 | 2 | 1 | 10:4 | 20 | 3 | 1 | 0 | 5:0 | 10 | 3 | 1 | 1 | 5:4 | 10 |
| 4 | არსენალი | 8 | 5 | 2 | 1 | 15:4 | 17 | 2 | 2 | 0 | 8:2 | 8 | 3 | 0 | 1 | 7:2 | 9 |
| 5 | პორტსმუთი | 9 | 5 | 1 | 3 | 13:5 | 16 | 3 | 0 | 1 | 6:1 | 9 | 2 | 1 | 2 | 7:4 | 7 |
| 6 | ევერტონი | 9 | 4 | 4 | 1 | 15:8 | 16 | 3 | 2 | 0 | 10:4 | 11 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| 7 | ასტონ ვილა | 9 | 3 | 6 | 0 | 11:6 | 15 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 11 | 0 | 4 | 0 | 3:3 | 4 |
| 8 | ფულემი | 9 | 3 | 4 | 2 | 11:14 | 13 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 | 1 | 3 | 1 | 7:10 | 6 |
| 9 | რედინგი | 9 | 4 | 1 | 4 | 9:12 | 13 | 2 | 1 | 2 | 5:8 | 7 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| 10 | ბლექბერნი | 9 | 3 | 3 | 3 | 9:11 | 12 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 | 1 | 2 | 1 | 2:4 | 5 |
| 11 | ლივერპული | 9 | 3 | 2 | 4 | 9:11 | 11 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 10 | 0 | 1 | 4 | 1:9 | 1 |
| 12 | მიდლსბრო | 9 | 3 | 2 | 4 | 9:13 | 11 | 3 | 0 | 2 | 5:7 | 9 | 0 | 2 | 2 | 4:6 | 2 |
| 13 | ტოტენჰემი | 9 | 3 | 2 | 4 | 6:10 | 11 | 3 | 1 | 1 | 5:3 | 10 | 0 | 1 | 3 | 1:7 | 1 |
| 14 | სიტი | 9 | 2 | 3 | 4 | 6:13 | 9 | 2 | 2 | 0 | 3:0 | 8 | 0 | 1 | 4 | 3:13 | 1 |
| 15 | უიგანი | 8 | 2 | 2 | 4 | 11:11 | 8 | 2 | 1 | 1 | 7:4 | 7 | 0 | 1 | 3 | 4:7 | 1 |
| 16 | ნიუკასლი | 9 | 2 | 1 | 6 | 7:13 | 7 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 | 1 | 0 | 4 | 2:7 | 3 |
| 17 | შეფილდი | 9 | 1 | 3 | 5 | 4:12 | 6 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 | 0 | 1 | 4 | 0:8 | 1 |
| 18 | უოტფორდი | 9 | 0 | 5 | 4 | 7:13 | 5 | 0 | 3 | 1 | 5:6 | 3 | 0 | 2 | 3 | 2:7 | 2 |
| 19 | ვესტ ჰემი | 9 | 1 | 2 | 6 | 6:13 | 5 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 | 0 | 1 | 4 | 2:8 | 1 |
| 20 | ჩარლტონი | 9 | 1 | 1 | 7 | 6:15 | 4 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 | 0 | 0 | 4 | 3:9 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაკა: მილანის ნაწილი, რომელიც ღმერთს ეკუთვნის




იტალიური „მილანი“ ახლა ცუდ ფორმაშია და მძიმედ თამაშობს, მაგრამ რიკარდო კაკა ერთ-ერთი ნათელი წერტილია „როსონერიში“. რაც იგი „სან სიროზეა“, თითქმის ყოველთვის მაღალი კლასის ფეხბურთს თამაშობს და შეგვიძლია, გუნდის ლიდერადაც ჩავთვალოთ. ხუთშაბათს ბრაზილიელი გამთამაშებელი ინტერნეტის საშუალებით უამრავ გულშემატკივარს გაესაუბრა და მათ შეკითხვებს რამდენიმე საათის განმავლობაში პასუხობდა. ჩვენ ამ კითხვა-პასუხის ნაწილს ინტერვიუს სახით გთავაზობთ. 24 წლის რიკარდო იზეკსონ დოს სანტოს ლეიტე, ანუ უბრალოდ კაკა, მილანურ დერბიზე, თავის ძმაზე, საკუთარ თავსა და სხვა მრავალ საინტერესო საკითხზე საუბრობს

**— ჯილარდინოს უგოლობაზე რას იტყვი, ესაუბრები ხოლმე მას?**

— ეს შეიძლება ყველა ფორვარდს დაემართოს. ალბერტო კარგი ადამიანია და მთელი გუნდი ვცდილობთ, დავეხმაროთ, მასთან ყველა ახლოსაა.

**— როგორ მუსიკას უსმენ?**

— განსაკუთრებით საორკესტრო და საეკლესიო მუსიკა მომწონს.

**— სკოლაში როგორ სწავლობდი?**

— კარგად. როცა რაიმეს ვსწავლობდი, ამას ყოველთვის დიდ ენერგიას და ყურადღებას ვუთმობდი, რადგან დროის ფუჭად კარგვა არ მიყვარს. ასე ვარ ფეხბურთშიც.

**— როგორ ფიქრობ, „პალერმოს“ აქვს სერია A-ს მოგების შანსი?**

— სერია A-ში ბევრი კარგი გუნდი თამაშობს და შანსი ყველას აქვს, მათ შორის „პალერმოსაც“, რომელიც ამ სეზონში მართლაც კარგად გამოიყურება, სიცილიელებს ძლიერი გუნდი ჰყავთ.

**— რიკარდო, ფეხბურთის გარდა რა გიტაცებს?**

— ძალიან მიყვარს კომპიუტერული თამაშები, ძირითადად სპორტული სიმულატორები. ამჟამად „ფიფა 2007“-ს, „ტაიგერ ვუდს 2007“-სა და „ნბა 2007“-ს ვთამაშობ.

**— „მილანში“ გადმოსვლის მერე საგრძნობლად გაიზარდე საფეხბურთო თვალსაზრისითაც...**

— „სან პაულუში“ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. თანაც იტალიაში თამაში გაცილებით ძნელია, ვიდრე ბრაზილიაში და, ცხადია, აქ უფრო ვუმატებ.

**— შეგიძლია, წარმოიდგინო შენი თავი რომელიმე სხვა პოზიციაზე?**

— ვფიქრობ, ჩემგან ცუდი მცველი გამოვიდოდა. აი, ფორვარდად კი სიამოვნებით ვითამაშებდი.

**— შენი ძმა, დიგაო „რიმინიში“ საკმაოდ კარგად თამაშობს...**

— დიახ, და ეს ძალიან მახარებს. იგი მხოლოდ 21 წლისაა და სწრაფად პროგრესირებს. „მილანში“ ერთად თამაში ჩვენი საერთო ოცნებაა.

**— ფეხბურთის გარდა რა სპორტი გაინტერესებს?**

— ძალიან მიყვარს მოტოსპორტი. ვალენტინო როსი ჩემი მეგობარია, ყოველთვის მას ვქომაგობ.

**— შენი თამაში შთამბეჭდავია, მაგრამ ზოგადად, ცხოვრებაში თუ გაქვს მინუსები?**

— ზოგჯერ ძალიან ზარმაცი ვარ და სახლიდან გასვლაც კი მეზარება.

**— გული ხომ არ გწყდება იმაზე, რომ რუი კოშტას წასვლის შემდეგ 10 ნომრერი კლარენს ზეედორფს გადასცეს და არა შენ?**

— არა, ამაზე საერთოდ არ ვფიქრობ. ნომერი ჩემთვის მნიშვნელოვანი არ არის. მთავარია, რას აჩვენებს ფეხბურთელი მინდორზე.

**— როგორ აფასებ შევჩენკოს გადაწყვეტილებას „მილანიდან“ წასვლის შესახებ?**

— შევა ჩემი საუკეთესო მეგობარია. მის გადაწყვეტილებას გაგებით ვეკიდები. ასევე უნდა მოიქცნენ ფანებიც მიუხედავად იმისა, რომ მათი რეაქცია და განაწყენება მესმის. ანდრეიმ გუნდისთვის ბევრი გააკეთა და არ აქვს მნიშვნელობა, როგორი გამოვიდა მისი წასვლა. იგი სამუდამოდ დარჩება „როსონერის“ ისტორიაში.

**— როცა „კურვა სუდი“ სიმღერას და ჩვეულ შეძახილებს იწყებს...**

— გიჟს ვემსგავსები, ეს საოცარი გრძნობაა. ენერგიის სასიამოვნო მოზღვავებას ვგრძნობ. ფანების მხარდაჭერა „მილანისთვის“ ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**— ბევრი ამბობს, რომ ახლა რონალდინიო მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეა, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ შენ მას არაფერში ჩამოუვარდები.**

— გმადლობთ. გოლები და გულშემატკივრის სიყვარული ჩემთვის უმთავარესია.

**— დამწყები ფეხბურთელი ვარ და მირჩიე, როგორ მოვიქცე, როცა სათადარიგოთა სკამზე მტოვებენ, რაც არ მსიამოვნებს...**

— ზოგჯერ სათადარიგოთა სკამზე ჯდომით უფრო მეტს აღწევ, ვიდრე თამაშით. ძალიან მნიშვნელოვანია, მიხვდე და გაიგო, თუ რატომ არ გათამაშებს მწვრთნელი. თუ უბრალოდ გასვენებს, საგანგაშო არაფერია, მაგრამ თუ შენი თამაში არ მოსწონს, უფრო მეტი უნდა ივარჯიშო.

**— მართალია, რომ ამ ზაფხულს „რეალში“ აპირებდი გადასვლას?**

— ამაში სიმართლის ერთი პროცენტიც არ არის. მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ მე „მილანის“ ნაწილი ვარ და ახალი კონტრაქტი გავაფორმე კიდეც გუნდთან.

**— მალე მილანური დერბია...**

— მინუს ქულები რომ არა, ახლა „ინტერთან“ ძალიან ახლოს ვიქნებოდით. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა შაბათს მოვიგოთ.

**— შენ რაღაც დევიზი გაქვს, რომელიც თამაშში გეხმარება...**

— **I BELONG TO JESUS** (მე ღმერთს ვეკუთვნი).

**— ფეხბურთი რომ არ აგერჩია, რა პროფესიისა იქნებოდი?**

— მამაჩემის დარად, ალბათ, ინჟინერი გავხდებოდი.

**— შაბათის დერბის როგორ შეაფასებდი?**

— ეს არის მატჩი პრინციპულ მეტოქესთან ექვსი ქულისთვის. თუ მოვიგეთ, სამ ქულას მივითვლით, ისინი კი ამდენივეს დაკარგავენ.

**— გაიხსენე, რა განიცადე ყველაზე ემოციურად ფეხბურთში?**

— 2002 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება და სკუდეტოს მოპოვება.

**— რამდენი წლისამ დაიწყე ფეხბურთის თამაში?**

— რვა წლისამ.

**— ვინ არის შენი საყვარელი ფეხბურთელი?**

— ანდრეი შევჩენკო.

**— რას იტყვი „მილანის“ ახალწვეულ იოან გურკუფზე?**

— იგი ძალიან პერსპექტიულია და იმედია, მომავალს „მილანს“ დაუკავშირებს. იოანმა დასანანი ტრავმა მიიღო, მაგრამ მალე მომჯობინდება.

**— გოლს ყოველთვის განსაკუთრებული ჟესტით აღნიშნავ, რას ნიშნავს ეს?**

— ღმერთს ვთხოვ, მომცეს ძალა ახალი წარმატებისთვის, ლოცვებს ვკითხულობ.

**— სურვილი, რომლის შესრულებაც გინდა უახლოეს მომავალში...**

— მინდა, ბოლოს და ბოლოს, ჩემპიონთა ლიგა მოვიგო და მეორედ მოვიპოვო სკუდეტო.

**— „მილანი“ ახლა კრიზისშია?**

— მე ასე არ ვფიქრობ. რთული პერიოდი გვიდგას, მაგრამ „მილანი“ დიდ წარამტებას ყოველთვის სერიოზული პრობლემების გადალახვის ფონზეც აღწევდა და ასევე გავაგრძელებთ მომავალშიც.

**— ყველას ძალიან გვიხარია, რომ გინდა კარიერა „მილანში“ დაასრულო. მაინც როგორია, იყო „როსონერის“ ფეხბურთელი?**

— ეს ბრწყინვალეა. მე ჯერ კიდევ ბევრი მაქვს სასწავლი. პირველ რიგში პაოლო მალდინისგან, ბილი კოსტაკურტასგან, ჯენარო გატუზოსგან და კლარენს ზეედორფისგან. ვოცნებობ „მილანის“ სიმბოლოდ გახდომაზე. როცა 15 წლის ვიყავი, ლეონარდოსთან ერთად ვთამაშობდი და ეს ჩემთვის უკვე უდიდესი რამ იყო. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ მომავალში მის დარად შორეულ იტალიაში და კერძოდ, „როსონერიში“ აღმოვჩნდებოდი. ეს ზღაპრული სიზმარი გახლდათ. ასე რომ, ყველაფერი ხდება.

## მილანური დერბი ჰუნტელაარისთვის



**იტალიური** პრესის ცნობით, მილანურმა კლუბებმა, „მილანმა“ და „ინტერმა“ ამსტერდამის „აიაქსის“ ფორვარდ კლაას იან ჰუნტელაარს დაადგეს თვალი. 23 წლის ჰოლანდიელის ანგარიშზე ამ სეზონში ათი გოლია. წინა სეზონში მან 33 გოლი გაიტანა, რაც ყველაზე შთამბეჭდავი შედეგი გახლდათ ევროპის წამყვან ჩემპიონატებში.

„აიაქსმა“ ჰუნტელაარი, რომელიც ამ ზაფხულის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებული და საუკეთესო ბომბარდირია, „ჰერენვენიდან“ 6,4 მილიონ გირვანქად იყიდა. დღეს იგი სულ ცოტა, 8 მილიონ გირვანქად ფასდება.

„ინტერს“ ფორვარდები არ აკლია და შესაძლოა, ამ ამბავში იმიტომ ჩაერთო, რომ თანაქალაქელს საქმე გაუფუჭოს. აი, „მილანს“ კი მართლა სჭირდება ერთი თავდამსხმელი მაინც. „როსონერის“ შეტევაში ძალიან უჭირს. ალბერტო ჯილარდინოს ამ სეზონში საერთოდ არ გაუტანია, ხოლო რიკარდო ოლივეირამ და ფილიპო ინძაგიმ სერია A-ს პირველი ტურის მერე დაივიწყეს გოლის გემო.

ვთქვათ ისიც, რომ „მილანს“ უკავშირებენ მოსკოვის „სპარტაკის“ არგენტინელ ნახევარმცველ ფერნანდო კავენაგისაც. ასევე საუბარია ბრაზილიელი ემერსონის სერია A-ში დაბრუნებაზე. მას „რეალში“ საქმე კარგად არ მისდის და შესაძლოა, იანვარშივე „მილანში“ ჩაირიცხოს.

**ძოძი ძანძელაძი**

# ერნან კრესპო: რა დროს სპარტაკია, მადონინაა! ჩვენ სკუდეტო ნაღდი გვინდა



ერნან კრესპო ის კაცია, ვისაც „ინტერშიც“ უთამაშია და „მილანშიც“. იგი ამ ზაფხულს „ნეროაძურიში“ დაბრუნდა და მორიგი მილანური დერბისთვის ემზადება. არგენტინელმა ფორვარდმა კარგად იცის, რას ნიშნავს „მადონინა“. იგი ამ და ბევრ სხვაზეც იტალიელ ჟურნალისტს ესაუბრა

— როგორ გრძნობთ თავს „მილანთან“ მატჩის წინ? ბოლომდე მომჯობინდით?

— თავს კარგად ვგრძნობ. „უდინეზესთან“ დაახლოებით ერთი საათი ვითამაშე, „ლივორნოსთან“ ათი წუთი და ახლა სრულ მზადყოფნაში ვარ. თუმცა მწვრთნელი გადაწყვეტს, როდის და რამდენი ხნით მათამაშოს.

— მილანური დერბის თქვენი ყველაზე ცუდი მოგონება...

— ჩემპიონთა ლიგის ორი შეხვედრა, მაშინაც „ინტერში“ ვთამაშობდი. პირადად ჩემთვის კარგი სეზონი იყო, ტრავმის მოშუშებაც მოვასწარი ამ მატჩებისთვის, მაგრამ ორივე თამაში ფრედ დასრულდა და ჩვენ ტურნირს გამოვეთიშეთ. ამასთან შეგუება ძალიან ძნელი იყო.

— დერბი „მილანის“ რიგებშიც გითამაშიათ და „ინტერშიც“, ასე რომ, კარგად იცით, რას ნიშნავს ეს, როგორ აღწერდით „მადონინას“?

— ეს ყოველთვის განსაკუთრებული და სასიამოვნო გრძნობაა. დერბისთან დანარჩენი შეხვედრები ახლოსაც ვერ მოვა. ბოლო ოცწლეულში, „მილანის“ წარმატებების გათვალისწინებით, მათ მცირე უპირატესობა აქვთ ხოლმე „მადონინას“ წინ. „ნეროაძურის“ საქმეები კი ისე ვერ აეწყო, როგორც დაგეგმილი იყო, თუმცა ჩვენ გამარჯვება გვწყურია. გვინდა, ეს მატჩი და საბოლოოდ სკუდეტო მოვიგოთ, რითაც კლუბის ისტორაში ჩავიწერებით.

— „მილანს“ 11 ქულით უსწრებთ, თან მოსკოვში „სპარტაკთან“ ჩემპიონთა ლიგის ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი გელით. ხომ არ ფიქრობთ, რომ „ინტერმა“ ამ დერბიში შეიძლება ყურადღება მოადუნოს?

— „სპარტაკთან“ მომავალი მატჩის მნიშვნელობა გვესმის და ვიცით, რომ ძნელი შეხვედრა გველის, მაგრამ დერბი სულ სხვაა. როცა მის მოლოდინში ხარ, სხვა მატჩზე ვერ იფიქრებ, გინდაც ეს ჩემპიონთა ლიგის ფინალი იყოს. მართალია, „მილანს“ 11 ქულით ვუსწრებთ, რადგან მათ სეზონი მინუს 8 ქულით დაიწყეს, მაგრამ ეს მაინც სკუდეტოს მოპოვების კანდიდატების შეხვედრაა. ამის მერე მთლიანად „სპარტაკთან“ მატჩზე გადავერთვებით.

— ანუ, მიუხედავად ყველაფრისა, თქვენ „მილანს“ სკუდეტოს პრეტენდენტად მიიჩნევთ?

— დიახ, რადგან ვიცი ამ გუნდის ხასიათი, შემადგენლობა, მიზნები და შესაძლებლობები. თანაც „ინტერი“ ზეწოლის ქვეშაა, რადგან სკუდეტოს მთავარ ფავორიტად ითვლება და ეს დამატებით ფსიქოლოგიურ პრობლემას ქმნის. თუმცა უშუალოდ ამ დერბის წინ თუ ვინმეა ზეწოლის ქვეშ, ეს „მილანია“. „როსონერის“ გარკვეული პრობლემები აქვს და ახლა გულშემატკივრები მისგან მხოლოდ მოგებას ელიან. თუ ჩვენ გავიმარჯვებთ, სკუდეტოსკენ კიდევ ერთ დიდ ნაბიჯს გადავდგამთ, მაგრამ „მილანის“ ჩამოწერა ამ შემთხვევაშიც ძალიან ნაადრევი იქნება.

**— თანაც საარბიტრაჟო სასამართლომ შეიძლება „მილანს“ კიდევ ჩამოაკლოს ქულები...**

— კარგი იქნება, თუ ამ ამბავს რაც შეიძლება მალე და საბოლოოდ დაესმება წერტილი. სეზონი საკმაო ხნის დაწყებულია, ამიტომ, თუ კიდევ რაიმე ცვლილებების შეტანა იგეგმება, ეს სწრაფად უნდა მოხდეს, რათა საბოლოო სურათი თვალწინ გვქონდეს და გაურკვევლობაში აღარ ვიყოთ.

**— გარკვეული შურისძიების გრძნობა თუ გაქვთ „მილანის“ მიმართ? ამ ზაფხულს ხომ „როსონერიში“ დაბრუნება გსურდათ, მაგრამ ისინი დიდხანს ფიქრობდნენ და ეს არ შემოგთავაზეს.**

— შურისძიება არ მამოძრავებს. არ ვიცი, „მილანი“ ფიქრობდა თუ არა ჩემ დაბრუნებაზე, ეს გუნდის ხელმძღვანელებს უნდა ჰკითხოთ. ყოველ შემთხვევაში, „ინტერს“ ბევრი არ უფიქრია. ძალიან მიხარია და მეამაყება, რომ „ნეროაძურის“ ფეხბურთელი ვარ. თავს „როსონერიშიც“ კარგად ვგრძნობდი და დღემდე ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. თუმცა ახლა ვეცდები, გავაკეთო ყველაფერი რათა ჩვენ გავიმარჯვოთ. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის, ცხრილის სათავეში ვართ და დანარჩენი მაისში გამოჩნდება.

**— ადრიანოს არყოფნა „ინტერისთვის“ კარგია თუ ცუდი?**

— იმის თქმა, რომ ადრიანოს არყოფნა „ინტერისთვის“ კარგია, ძალიან გადამეტებულად მეჩვენება. ადრი ჩინებული ფეხბურთელია და მან ეს უკვე დაამტკიცა. სამწუხაროდ, ახლა რთული პერიოდი უდგას, ეს ყველას შეიძლება დაემართოს. ნუ დაგვავიწყდება, რომ იგი ჯერ ახალგაზრდაა და პრობლემებთან გამკლავება უჭირს. ფეხბურთელს კარგი თამაშისთვის მხოლოდ ვარჯიში და ნიჭი არ კმარა, ფსიქოლოგიური მდგრადობაც საჭიროა. რადგან კლუბმა გადაწყვიტა, რომ სახლში გაეშვა დასასვენებლად, ალბათ, ასე იყო საჭირო. იმედია, იგი მალე სათანადო ფორმაში დაგვიბრუნდება.

**— ყველაზე მეტად რით გაშინებთ „მილანი“?**

— „მილანს“ ჰყავს ბრწყინვალე ფეხბურთელები, რომლებმაც ბოლო წლებში ბევრი რამ მოიგეს. მათ კარგად იციან, როგორ ითამაშონ ასეთ პრინციპულ შეხვედრებში. თუმცა, ვფიქრობ, ამ მატჩის შედეგი ჩვენზე უფრო დამოკიდებული, რადგან არანაკლებ ძლიერი გუნდი გვყავს და ახლა ლიდერები ვართ. თან „ინტერს“ „მადონინას“ მოგება ძალიან უნდა, რათა ყველას დავანახოთ, რომ არ ვხუმრობთ და ამ სეზონში სკუდეტოს მოგებას ვაპირებთ. გადმოცემული სკუდეტო გარკვეულ უხერხულობას ქმნის და ყველას უნდა დავუმტკიცოთ, რომ ამ ტიტულის მოპოვება მინდორზეც შეგვიძლია.

**— რობერტო მანჩინის როტაციის სისტემას როგორ ეგუებით?**

— ახლაც იმ აზრზე ვარ, რომ კონკურენცია კარგია და „ინტერს“ ყველა ის ფორვარდი სჭირდება, ვინც ჰყავს. შესაძლოა, მე, იბრაჰიმოვიჩმა და ადრიანომ ცოტა მეტი ვითამაშეთ, ვიდრე ახალმომჯობინებულმა ალვარო რეკობამ და ხულიო რიკარდო კრუზმა, მაგრამ მათ უკვე დაამტკიცეს, რომ უმაღლესი კლასის ფორვარდები არიან, რაც ძალიან გამიხარდა. ეს ყველაფერი კლუბს წაადგება.

იტალია

# ფაბიო გროსო ნანახ ფილმში ითამაშებს

| IX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| უდინეზე | : | რომა |
| მილანი | : | ინტერი |
| **ხვალ** | | |
| კატანია | : | ტორინო |
| ასკოლი | : | სიენა |
| კალიარი | : | სამპდორია |
| ლაციო | : | რეჯინა |
| ფიორენტინა | : | პალერმო |
| ლივორნო | : | ემპოლი |
| მესინა | : | კიევო |
| პარმა | : | ატალანტა |

**ტურინის** „იუვენტუსის“ ისტორიაში პირველად ხდება, რომ სერია A-ში ვერ თამაშობს და, შესაბამისად, „ბებერი ქალბატონის“ მონაწილეობით პრინციპულ მატჩებს ვერ ვიხილავთ. ამის ფონზე ფეხბურთის მოყვარულთათვის მილანური და რომაული დერბები ორმაგ მნიშვნელობას იძენს. დღეს „მადონინას“ პირველი სერიაა და ამაზე ბევრი საუბარი არც არის საჭირო, თავადაც იცით, რას ნიშნავს ეს. ამჯერად „მილანი“ ფორმალური მასპინძლის რანგშია.

ბოლო წლებში „ინტერი“ ასეთ მომგებიან პოზიციაში არ ყოფილა. „ნეროაძური“ „მადონინას“ სერია A-ს ლიდერის რანგში ხვდება და „როსონერიზე“ 11 ქულით მეტი აქვს. თანაც „მილანი“ ახლა კარგ ფორმაში არ არის, ქომაგები კი მისგან მხოლოდ მოგებას ითხოვენ. თუ კარლო ანჩელოტის გუნდი ამ მატჩს წააგებს, ჩემპიონობის შანსს დაკარგავსო, ნაადრევი ნათქვამი იქნება, მაგრამ თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, „მილანი“ ალბათ სკუდეტოსთვის ველარ იბრძოლებს. თუმცა მილანური დერბის დროს გუნდების სატურნირო ვითარებას, როგორც წესი, მნიშვნელობა არ აქვს ხოლმე.

„კიევოსთან“ გამარჯვება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. დერბის საბრძოლო განწყობით და კარგ ხასიათზე ვხვდებით“ — თქვა ანჩელოტიმ.

„ინტერის“ მწვრთნელი რობერტო მანჩინი: „ის, რომ „მილანის“ ფორვარდებს ბოლო დროს გოლის გატანა უჭირთ, არაფერს ნიშნავს. „როსონერის“ უმაღლესი კლასის მოთამაშეები ჰყავს და წინ ურთულესი მატჩი გველის. თუმცა ჩვენი ერთადერთი მიზანი მოგებაა“.

„მილანის“ ლაზარეთიდან კარგი ამბებია, პაოლო მალდინი და მარკოს კაფუ სათამაშოდ მზად არიან. მომჯობინდნენ იოან გურკუფი და მასიმო ამბროზინიც, მაგრამ ისინი ალბათ სათადარიგოთა სკამზე იქნებიან. წინასწარი ინფორმაციით, ანჩელოტი თავდასხმაში ფილიპო ინძაგი — რიკარდო ოლივეირას წყვილს დააყენებს, ხოლო ცუდ ფორმაში მყოფი ალბერტო ჯილარდინო მოგვიანებით შევა მინდორზე.

„ინტერისთვის“ ყველაზე ცუდი ახლა ალვარო რეკობას ტრავმა იყო. ურუგვაელი ცოტა ხნის წინ გამოჯანმრთელდა, კარგადაც თამაშობდა, მაგრამ „ლივორნოსთან“ ისევ დაშავდა. სულ ცოტა, „მილანთან“ და შუა კვირაში მოსკოვის „სპარტაკთან“ ვერ ითამაშებს. ლაზარეთშია ესტებან კამბიასოც, ხოლო ბრაზილიელი ფორვარდი ადრიანო განსატვირთად სამშობლოში ოჯახთან რომ გააგზავნეს გეხსომებათ. მშვენიერ ფორმაში მყოფი ხულიო რიკარდო კრუზი ალბათ მაინც სათადარიგოთა სკამზე იქნება. სავარაუდოდ, მანჩინი ძირითადში ზლატან იბრაჰიმოვიჩსა და ერნან კრესპოს დააყენებს.

„ეს დიდებული მატჩია, რომელსაც აქამდე მაყურებლის რანგში ვაკვირდებოდი, ახლა კი მასში თამაში მიწევს და ძალიან მიხარია. გვინდა, კარგი მატჩი გამოგვივიდეს და მოვიგოთ. იმედია, ასეც იქნება“ — აღნიშნა იტალიის ნაკრებისა და „ინტერის“ მცველმა ფაბიო გროსომ.

ბოლო წლებში „მილანი“ დერბებში აშკარად ჯაბნიდა „ინტერს“, თუმცა მთლიანობაში მცირე უპირატესობა „ნეროაძურის“ მხარეზეა. აქამდე სულ 144 „მადონინა“ ჩატარებულა და აქედან 50-ჯერ „ინტერს“ მოუგია, 45-ჯერ „მილანს“, ხოლო 49 მატჩი ფრედ დასრულდა.

ტურის სხვა მატჩები ნამდვილად მილანური დერბის ჩრდილშია, მაგრამ ორი მათგანი მაინც გამოვარჩიოთ. ძალიან საინტერესო შეხვედრაა „არტემიო ფრანკიზე“. „ფიორენტინა“, რომელმაც ზედიზედ 4 მატჩი მოიგო და ცდილობს, მინუს ქულებიდან რაც შეიძლება მალე გამოვიდეს, სერია A-ს ერთ-ერთ ლიდერს, „პალერმოს“ მასპინძლობს. „იებს“ მიკელე პაციენცა, ჯამპაოლო პაცინი და გილერმო დე პრადო არ ეყოლებათ. ლუკა ტონისა და მანუელე ბლაზის თამაში კი საეჭვოა. სიცილიელებს ჩირო კაპუანოსა და ფედერიკო ალიარდის გარეშე მოუწევთ ბურთაობა.

მესამეადგილოსანი „რომა“ ერთი საფეხურით ქვემოთ მყოფ „უდინეზეს“ „ფრიულიზე“ შეებმება. „გლადიატორებმა“ „რეჯინასთან“ გასვლაზე მარცხს ორი საშინაო მოულოდნელი ფრე მიაყოლეს“. „კიევოსთან“ და „ასკოლისთან“ კლუბის ხელმძღვანელობამაც ფეხბურთელებს პრესასთან ურთიერთობა დროებით აუკრძალა, მარტო თამაშზე უნდა იფიქრონო. „ძუმბრეჯე“ მეტოქეს საბრძოლო შემადგენლობით ხვდება, ხოლო „რომას“ ამანტინო მანსინი დააკლდება და შეიძლება, ფრანჩესკო ტოტიც.

**გიორგი ქაქაბაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 8 | 5 | 3 | 0 | 16:9 | 18 |
| პალერმო | 8 | 6 | 0 | 2 | 18:13 | 18 |
| რომა | 8 | 4 | 2 | 2 | 13:6 | 14 |
| უდინეზე | 8 | 3 | 4 | 1 | 10:5 | 13 |
| ატალანტა | 8 | 3 | 4 | 1 | 13:10 | 13 |
| სიენა | 8 | 3 | 4 | 1 | 9:7 | 12 |
| ლივორნო | 8 | 3 | 3 | 2 | 7:8 | 12 |
| სამპდორია | 8 | 2 | 4 | 2 | 14:13 | 10 |
| ემპოლი | 8 | 2 | 4 | 2 | 9:8 | 10 |
| მესინა | 8 | 2 | 3 | 3 | 10:11 | 9 |
| კატანია | 8 | 2 | 3 | 3 | 11:14 | 9 |
| მილანი | 8 | 4 | 3 | 1 | 7:4 | 7 |
| კალიარი | 8 | 0 | 6 | 2 | 7:9 | 6 |
| ტორინო | 8 | 1 | 3 | 4 | 4:11 | 6 |
| ასკოლი | 8 | 0 | 4 | 4 | 5:11 | 4 |
| პარმა | 8 | 1 | 1 | 6 | 6:17 | 4 |
| კიევო | 8 | 0 | 2 | 6 | 6:12 | 2 |
| ლაციო | 8 | 3 | 1 | 4 | 9:9 | -1 |
| ფიორენტინა | 8 | 5 | 0 | 3 | 12:6 | - 4 |
| რეჯინა | 8 | 3 | 2 | 3 | 11:14 | - 4 |

*სიენას დაკლებული აქვს 1 ქულა, მილანს 8 ქულა, ლაციოს 11 ქულა, რეჯინას 15 ქულა, ფიორენტინას 19 ქულა*

# ფიოლერი გზას არ გაიმრუდებს



**გერმანული** ფეხბურთის ლეგენდა რუდი ფიოლერმა, რომელიც ამჟამად „ლევერკუზენის“ სპორტული დირექტორია, გერმანული მედიის მიერ კლუბიდან მისი წასვლის შესახებ გავრცელებული ხმები უარყო. გაზეთები აცხადებდნენ, თითქოს ფიოლერი ფრანკფურტის „აინტრახტში“ უნდა გადასულიყო.

„ფრანკფურტული კლუბის წარმომადგენლებთან მოლაპარაკება არ გამიმართავს. მედიის განცხადებები უბრალო სპეკულაციაა. სხვათა შორის, ამას ზამთარს „ლევერკუზენის“ უფროსობასთან ვაპირებ საუბარს კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე“ — განაცხადა გერმანიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა.

თავის მხრივ „ლევერკუზენის“ ხელმძღვანელობამ კლუბში ბრაზილიური „სანტოსიდან“ ძველი ბაიერელის, ზე რობერტოს დაბრუნებაზე უარი თქვა.

„ზე რობერტო შესანიშნავი ფეხბურთელია, მაგრამ ამჟამად მისი ამპლუის მოთამაშეს არ გვჭირდება. კარგი გუნდი გვყავს და მიუხედავად იმისა, რომ საამსეზონო სტარტი ცუდი გვქონდა, „ლევერკუზენს“ ნამდვილად აქვს მომავალი“ — თქვა „ბაიერის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ვოლფგანგ ჰოლცჰაუზერმა.

**ლადო ხომერიკი**

# კლინსიმ გერმანია ამერიკაში [illegible]



**გერმანის** ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა დაადასტურა, რომ ამერიკის ფეხბურთის ფედერაციასთან მოლაპარაკებას აწარმოებს და შესაძლოა, აშშ-ს ნაკრები ჩაიბაროს.

„რამდენჯერმე ვისაუბრეთ და მოლაპარაკება გაგრძელდება. დანარჩენს დრო გვაჩვენებს. რვა წელია, ამერიკაში ვცხოვრობ და აქაურობას კარგად ვიცნობ. ფეხბურთის განვითარებასაც უშუალოდ ვაკვირდებოდი. რა თქმა უნდა, აქაურობა გერმანიისგან ბევრად განსხვავდება, მაგრამ ეს ბუნებრივიცაა და გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს“ — განაცხადა 42 წლის სპეციალისტმა.

ამერიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი სანილ გულატი: „იურგენი კარგად იცნობს ჩვენს ფეხბურთს. იგი გამოცდილია და ლიდერის თვისებებით არის დაჯილდოვებული. კლინსმანი გაცილებით კარგი კანდიდატურაა ამ პოსტზე, ვიდრე ვინმე ისეთი, რომელსაც ამერიკაში არ უცხოვრია“.

გერმანიის ნაკრებთან ერთად მუნდიალის მესამე ადგილზე გასვლის შემდეგ, კლინსმანმა „ნაციონალმანშაფტი“ დატოვა და თქვა, დაახლოებით ერთი წელი უნდა დავისვენოო. თუმცა ახლა ამბობს, მწვრთნელობას მალე დავუბრუნდებიო. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს ნაკრების თავკაცობის კანდიდატებად გრემ სუნესსა და სტივი ნიკოლსაც ასახელებენ.

**კოკი კანდელაკი**

